მიქელანჯელო თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში

მოამზადა თათია ბარბაქაძემ

(ნაწილი II)

(გზამკვლევი)

საფეხური: საბაზო

რესურსის მიზანი: ინტერპრეტაციის უნარის განვითარება

სავალდებულო თემატური ბლოკი: ადამიანი ხელოვნებაში

მეთოდი: რესურსში გამოყენებულია ინტერპრეტაციის (ჰერმენევტიკული) სწავლების მეთოდი.

მოსალოდნელი შედეგი: ხელოვანის განსხვავებული რაკურსით აღქმა, შემოქმედებითი აზროვნების უნარის განვითარება.

რესურსი დაფუძნებულია თანამედროვე ფრანგი მწერლის, მატიას ენარის ნოველაზე, "ესაუბრე ბრძოლებზე, მეფეებზე და სპილოებზე". ნოველაში ინტერპრეტირებულია სულთან ბაიაზიდ II-ის მიერ მიქელანჯელოს სტამბოლში მიწვევის ამბავი. ისტორიული წყაროს თანახმად, მოქანდაკემ მიწვევა მიიღო, მაგრამ მიქელანჯელოს თანხმობისა და ოსმალეთის იმპერიაში მოგზაურობის შესახებ ცნობები დადასტურებული არ არის.

რესურსის გამოყენებისას მასწავლებლის მიზანია, ტექსტზე დაყრდნობითა და შემოთავაზებული აქტივობით მოსწავლეებს შემოქმედებითი პროცესის აღქმასა და გააზრებაში დაეხმაროს.

ნაბიჯი 1

თავდაპირველად საჭიროა, რომ მასწავლებელმა საკითხავ მასალაში განთავსებული ტექსტი ამობეჭდოს და ყველა მოსწავლეს დაურიგოს. გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აუხსნას, რომ გაკვეთილის მიზანს შემოქმედებითი პროცესის აღქმა და გააზრება წარმოადგენს. ამის მაგალითად კი მოსწავლეებს მიქელანჯელოს შესახებ ფრანგი მწერლის, მატიას ენარის, ტექსტს სთავაზობს.

ნაბიჯი 2 ტექსტის გაცნობამდე საჭიროა, მასწავლებელმა მოსწავლეებს მიქელანჯელოს შემოქმედების შესახებ განვლილი მასალა გაახსენოს, რითაც წინარე ცოდნა გააქტიურდება. მსჯელობის დროს მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა გაიხსენონ და კიდევ ერთხელ გაიაზრონ მიქელანჯელოს მხატვრული და ისტორიული როლი. შემდეგ დაასახელონ მიქელანჯელოს მათთვის ცნობილი ნამუშევრები და ისაუბრონ იდეასა და მხატვრულ - გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებზე. ამის შემდეგ მასწავლებელი, პრეზენტაციის დახმარებით, მოსწავლეებს მიქელანჯელოს არქიტექტურულ ჩანახატებს ათვალიერებინებს. ესკიზების ჩვენების დროს მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა წარმოიდგინონ და გამოთქვან აზრი იმ რთული შემოქმედებითი პროცესის შესახებ, რომელსაც ხელოვანი ნამუშევრის შექმნამდე გადის.

ნაბიჯი 3

პრეზენტაციის დათვალიერებისა და წინარე ცოდნის გააქტიურების შემდეგ საჭიროა, მასწავლებელმა მოსწავლეებს რამდენიმე წუთი მისცეს ტექსტის წასაკითხად. საკითხავი მასალის გაცნობის შემდეგ საკვანძო კითხვების დასმით მასწავლებელი მოსწავლეებს ტექსტის გააზრებაში უნდა დაეხმაროს.

საკვანძო კითხვები შესაძლებელია ასეთი სახით იყოს ფორმულირებული: როგორ დაახასიათებდით შემოქმედებით პროცესს, რა სირთულეს აწყდება ხელოვანი მუშაობის დაწყებისას? როგორია ხელოვანის მოლოდინი და როგორია რეალობა? ტექსტის მიხედვით, რა ტიპის ურთიერთობა არსებობს მიქელანჯელოსა და ლეონარდო და ვინჩის შორის? რას იტყვით მიქელანჯელოს განცდების შესახებ, რა აღელვებს? რა პრობლემების წინაშე დგას? რა გზას პოულობს მიქელანჯელო “შემოქმედებითი კრიზისის” დასაძლევად? როგორ ცვლის მოცემული ტექსტი მიქელანჯელოს შესახებ თქვენს წარმოდგენას?

ნაბიჯი 4

საკვანძო კითხვებზე პასუხების გაცემის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს დავალებებს ქვემოთ ჩამოთვლილი თანმიმდევრობით სთავაზობს. სამივე დავალება მიმართულია შემოქმედებითი პროცესის სირთულის გააზრებისკენ. მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ ხელოვანიც ისეთივე რთულ სააზროვნო პროცესს გადის და აქვს ისეთივე ცვალებადი ემოციური მდგომარეობა, როგორც მათ, როდესაც რაიმე შემოქმედებით დავალებას/აქტივობას ასრულებენ. სავარაუდოა, რომ დავალებების შესრულებას რამდენიმე გაკვეთილი დაეთმობა.

დავალება N 1

ტექსტის გაცნობის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აუხსნას, რომ მოცემული მასალა შემოქმედებითი პროცესის ამსახველი ტექსტია. მათი შესასრულებელი დავალებაა, ტექსტში ადგილები ისე გამოყონ და დაასათაურონ, რომ შემოქმედებითი პროცესის ეტაპები გამოიკვეთოს. ეტაპების გამოკვეთა საჭიროა იმის გასააზრებლად, რომ ნამუშევრის შექმნა რთული სააზროვნო პროცესია და ამასთანავე, ხელოვანის ცვალებად ემოციურ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული.

დავალება N 2

მოსწავლეებმა მოცემულ ტექსტზე დაყრდნობით ან საკუთარი ფანტაზიით უნდა შექმნან მიქელანჯელოს ან მათთვის სასურველი ხელოვანის შემოქმედებითი პროცესის ამსახველი ნამუშევარი.

დავალება N 3

 მოცემული ტექსტის შთაგონებით მოსწავლეებმა საკუთარი შემოქმედებითი პროცესის ამსახველი გამოსახულება (კომიქსი) უნდა შექმნან. შემოქმედებით პროცესში მოიაზრება ყველა ის სასკოლო და კლასგარეშე, მათ შორის სპორტული, დავალება ან აქტივობა, რომლის შესრულებისთვის გარკვეული ეტაპების გავლაა საჭირო.

ნაბიჯი 1. თავდაპირველად საჭიროა, მოსწავლეებმა გაიხსენონ აქტივობა ან დავალება, რომლის შესრულებაც მათთვის რთული აღმოჩნდა.

ნაბიჯი 2. მოფიქრებული დავალების/აქტივობის შემდეგ მოსწავლეები კომიქსის შექმნას იწყებენ. კომიქსის შექმნის დროს მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა ყველა ის ფიქრი, ემოცია და ქმედება გამოსახონ/დაწერონ, რომელიც დავალების/აქტივობის დაწყებამდე, შესრულების დროს და დასრულებისას ჰქონდათ. კომიქსის შექმნის შემდეგ საჭიროა ნამუშევრის წარდგენა. კომიქსის შექმნის დროს მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ:

1. ქაღალდზე გამოსახულებისთვის და ტექსტისთვის საჭირო ადგილები წინასწარ უნდა განსაზღვრონ;

2. გამოსახულებას უნდა ჰქონდეს თხრობითი ხასიათი. ტექსტის ნაწილი არ უნდა იყოს ძალიან ვრცელი და უნდა შეეფარდებოდეს გამოსახულების მასშტაბს.

კომიქსის შექმნისთვის დამხმარე ბმულები:

N 1 ბმული

N 2 ბმული

რეკომენდაცია მასწავლებელს:

დავალება N 3-ის დაწყებამდე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლასში პოზიტიური გარემოს შექმნა. დავალების რაობის გაცნობის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აუხსნას, რომ კომიქსის წარდგენისას ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილი, ემპათიური დამოკიდებულება.

წარდგენის დასრულებისას აუცილებელია, მოსწავლეებმა მასწავლებლისგან უკუკავშირი მიიღონ. უკუკავშირის დროს მნიშვნელოვანია მხარდაჭერა. მხარდაჭერა მოსწავლეებს განსაკუთრებით მაშინ დასჭირდებათ, როცა კომიქსის წარდგენისას საკუთარ არასასიამოვნო გამოცდილებაზე ისაუბრებენ. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მოუსმინოს და მათ მიმართ ემპათიური დამოკიდებულება გამოხატოს.